დედისა და შვილის ინტერაქციასა და კვების პროცესში გამოვლენილ ქცევებს შორის კავშირი ადრეულ ასაკში

მარიამ ქათამაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივრსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ელენე წკრიალაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ქათამაძე

19 ივნისი 2022 წელი

აბსტრაქტი

ჯანსაღი კვება წარმოადგენს ბავშვის ზრდისა და განვითარებისთვის მნიშვნელოვან საკითხს. ბავშვთა ასაკში ჩამოყალიბებული სწორი კვების ჩვევები წარმოადგენს ჯანმრთელობის საფუძველს ზრდასრულ ასაკში. კვების განხილვისას უმეტესად მოიაზრებენ - ორალ-მოტორულ უნარებს, სენსორულ გადამუშავებას, საკვების არჩევითობას, ქცევასა და დიაგნოზს, ხანდახან მზრუნველის მენტალურ მდგომარეობასაც, თუმცა ერთია მოიაზრო ცალკე ბავშვის კომპონენტები და ცალკე მშობლის, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია ამ ორის ერთად მოაზრება და მათი დინამიკური ინტერაქციის ნახვა პროცეში, რადგან კვება ინტერაქციული პროცესია, რომლის დროსაც მშობლებსა და მათ ბავშვებს აქვთ ხშირი და ხანგრძლივი სახის ინტერაქცია, რომელსაც შეუძლია როგორც ხელი შეუწყოს, ისე ხელი შეუშალოს ბავშვის განვითარებას. ასეთმა ურთიერთობებმა შესაძლოა გავლენა იქონიოს არა მხოლოდ ბავშვზე, არამედ მშობელზეც - გრძობებზე, თუ რამდენად შეუძლია დააკმაყოფილოს შვილის საჭიროებები, შესაბამისად კვების პროცესი შესაძლოა იყოს - როგორც პოზიტიური, ისე სტრესული ორივესთვის.

სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ კვების პროცესი თავისი ბუნებით მრავალმხრივია, მნიშვნელოვანია ბავშვის განვითარებისთვის, დედა-შვილს შორის ურთიერთობის მნიშვნელოვან კომპონენტს ატარებს და ამასთანავე გამომდინარე იქიდან, რომ დედასა და შვილს შორის ინტერაქცია თავის მხრივ განსაზღვრავს ბავშვის განვითარებას და კვების პროცესს - საინტერესოა იმის ნახვა თუ რა კავშირია დედისა და შვილის ინტერაქციასა და კვების პროცესში გამოვლენილ ქცევებს შორის ადრეულ ასაკში.

კვლევისთვის შერჩეულ იქნა 30 ტიპური განვითარების ბავშვი 1 წლიდან 3 წლამდე ასაკის და მათი დედები, რომელთანაც მოხდა ინფორმირებული თანხმობის მოპოვება. ბავშვების ტიპური განვითარების მტკიცებულებისთვის გამოყენებულ იქნა ASQ ასაკებისა და ეტაპების კითხვარი, სადაც - ქულების ვერ დაკმაყოფილების შემთხვევაში მონაწილეები გადამისამართდნენ შესაბამის სპეციალისტებთან, ქულების

დაკმაყოფილების შემთხვევაში კი მოხდა შემდეგი კითხვარების გაზიარება: 1. დემოგრაფიული ინფორმაციის მოსაპოვებელი კითხვარი, 2. პედიატრიული კვების სკალა, 3. ქცევითი პედიატრიული კვების შეფასების სკალა, ასევე ვიდეო მასალის გადასაღებლად შესაბამისი ინსტრუქციების მიწოდება, რომლის დამუშავებისთვისაც გამოყენებულ იქნა კომუნიკაციის მატრიცა და პედიატრიული კვების სკალა.

კვლევის შედეგების მიხედვით ნათლად ჩანს ძლიერი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაცია დედასა და შვილის ინტერაქციასა და კვების პროცესში გამოვლენილ ქცევებს შორის. გარდა ამისა გამოვლინდა სხვა სახის ღირებული კორელაციებიც, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია საქართველოში არსებული სერვისის გაუმჯობესების ხელშეწყობა კვებითი თერაპიების სახით.

საკვანძო სიტყვები:

დედასა და შვილს შორის ინტერაქცია, კვების პროცესი, ტიპური განვითარება.

Abstract

Healthy feedingis an important issue for the growth and development of the child. Proper eating and feeding habits formed in children are the basis of health in adulthood. When discussing feeding and nutrition, most people consider – oral motor skills, sensory processing, food choice, behavior and diagnosis, sometimes even the mental state of the caregiver.

Feeding in an interactive process in which parents and their children have frequent and prolonged forms of interaction that can both promote and hinder a child's development. Such relationship can affect not only the child, but also the parent – the feeling of how well she/he can meet the needs of the child, therefore the feeding process can be both positive and stressful for both – parent and child.

Because the feeding process is - multifaceted in nature, important for the development of the child, is an important component of the mother-child relationship and also because the interaction between mother and child in turn determines the child's development and feeding process – it is interesting to see what kind of connection is with mother-child interaction and child feeding behaviors during feeding process at an early age.

Thirty typical development children aged 1 to 3 years and their mothers were selected for the study, with whom an informed consent was shared and received. The ASQ age and stage questionnaire was used for the evidence of typical child development, where – in case of unsatisfactory scores, participants were referred to relevant specialists, and in case of satisfactory scores, the following questionnaires were shared: 1. Demographic information questionnaire, 2. MCH feeding scale, 3. Behavioral pediatric feeding evaluation scale, as well as providing relevant instructions for shooting video material, which were processedwirh a communication matrix and a pediatric feeding scale.

The results of the study show a strong and significant correlation between the interaction of mother and child with the behaviors revealed during the feeding process. In addition, other

valuable correlations were identified, based on which it is possible to promote the improvement of the existing service in feeding therapy of Georgia.

Key words:

mother-child interaction, feeding process, typical development.

მადლობა

მადლობას ვუხდი კვლევის მონაწილე ყველა პირს გაწეული დახმარებისთვისა და პროცესში გულისხმიერი ჩართულობისთვის.

მადლობას ვუხდი კვლევის ხელმძღვანელს ელენე წკრიალაშვილს გაწეული დახმარებისთვისა და რჩევებისთვის.